



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



MIA 2 18 00001/80

19/02/2018

**ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ**

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით დამტკიცებული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ა“, „ნ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქცია თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამოქმედო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის №826 ბრძანება.
3. ბრძანება გაეცნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელებს.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ([info.police.ge](http://info.police.ge)) გამოქვეყნება.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი  
გახარია გიორგი

## ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქცია

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში (შემდგომში - რეფერირების პროცედურები) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამოქმედო ინსტრუქცია განსაზღვრავს რეფერირების პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და ტერიტორიული ორგანოების (შემდგომში - უფლებამოსილი დანაყოფები) კომპეტენციას, ბავშვზე ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების ღონისძიებებს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან (შემდგომში - სააგენტო) ასევე, რეფერირების პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან მათი კოორდინირებული ურთიერთობების ღონისძიებებს.

### მუხლი 2. სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფების კომპეტენცია

რეფერირების პროცედურების ფარგლებში სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფების კომპეტენციაა:

- ა) მოახდინონ ოპერატიული რეაგირება ბავშვზე ძალადობის ფაქტებზე;
- ბ) აღკვეთონ ბავშვზე ძალადობის ფაქტები;
- გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ ბავშვ(ებ)ის განცალკევების შესახებ აქტის საფუძველზე, სოციალურ მუშაკთან ერთად აღასრულონ ბავშვის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება;
- დ) გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყონ ბავშვის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოსცენ შემაკავებელი ორდერი და მიიღონ გადაწყვეტილება ბავშვის განცალკევების შესახებ;
- ვ) გამოსცენ იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი, თუ მოძალადე არ ემორჩილება სააგენტოს სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით;
- ზ) განახორციელონ დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების მეთვალყურეობა;

- თ) უზრუნველყონ ბავშვზე ძალადობის ფაქტების თაობაზე სააგენტოს ინფორმირება;
- ი) განახორციელონ შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

### მუხლი 3. შემთხვევის/გამოძახების ადგილზე გამოცხადება და ბავშვზე ძალადობის შემთხვევის ადგილზე შეფასება

1. უფლებამოსილი დანაყოფები რეფერირების პროცედურებში ერთვებიან:

- ა) სააგენტოდან ან რეფერირების პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებიდან, ასევე სხვა წყაროდან ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში;
- ბ) ისეთი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენისას, რომელიც აჩენს ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

2. ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ასევე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენისას, უფლებამოსილი დანაყოფების მოსამსახურე (შემდგომში – უფლებამოსილი მოსამსახურე) ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის/გამოძახების ადგილზე და განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) წარადგინოს ვინაობა, ფაქტის შეფასების მიზნით შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა, გაესაუბროს სავარაუდო არასრულწლოვან მსხვერპლს, სავარაუდო მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს და სხვ.);
- ბ) მოიპოვოს მტკიცებულებები და ძალადობის ნიშნების ან რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში დადგენილი წესით დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს;
- გ) აღკვეთოს ბავშვზე ძალადობის ფაქტი;
- დ) საჭიროების შემთხვევაში გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა;
- ე) გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს ბავშვის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოწეროს შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვის ორდერი და აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა მარტო ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად.

3. უფლებამოსილი მოსამსახურე ვალდებულია, სატელეფონო ცხელი ხაზის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზი“ 15-05) ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით აცნობოს სააგენტოს განხორციელებული ღონისძიების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) უფლებამოსილი მოსამსახურის სახელს, გვარს, თანამდებობას;
- ბ) ბავშვის სახელსა და გვარს, ასაკს, სქესს, მისამართს, შემთხვევის/გამოძახების ადგილს, თუ იგი განსხვავდება ბავშვის საცხოვრებელი მისამართისგან (თუ ბავშვი მიუსაფარია,

მიეთითება მისი სახელი და გვარი, სქესი ან მისი მაიდენტიფიცირებელი რაიმე ნიშანი, შემთხვევის/გამოძახების ადგილი);

გ) ძალადობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის ან ძალადობის ფორმის მოკლე აღწერას;

დ) უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ ჩატარებული ქმედებების ჩამონათვალს.

4. უფლებამოსილი მოსამსახურე ამ მუხლით განსაზღვრულ ღონისძიებებს/ქმედებებს ახორციელებს შემთხვევის შეფასების შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. შემთხვევის/გამოძახების ადგილზე უფლებამოსილი მოსამსახურის და სააგენტოს სოციალური მუშაკის კოორდინირებული თანამშრომლობა**

1. თუ გამოძახება ან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა მოხდა სამუშაო დღის განმავლობაში და შემთხვევის/გამოძახების ადგილზე გამოცხადებისას უფლებამოსილი მოსამსახურე არსებულ მდგომარეობას აფასებს როგორც გადაუდებელს, რომლის დროსაც ბავშვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე, უფლებამოსილი მოსამსახურე იღებს გადაწყვეტილებას ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მოძალადისგან განცალკევების (ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის საფუძველზე) თაობაზე და დადგენილი წესით დაუყოვნებლივ ატყობინებს სააგენტოს მიღებული ზომების შესახებ.

2. თუ უფლებამოსილი მოსამსახურის გამოძახება ან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა მოხდა სამუშაო დღის განმავლობაში და მდგომარეობის შესწავლის/შეფასების შედეგად არ არსებობს შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვის ორდერის გამოწერის აუცილებლობა, მაგრამ სახეზეა ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი (მაგ.: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა; მოწმის განცხადება, რომ შეესწრო ძალადობის ფაქტს, ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა (მაგ.: ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან; ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის და სხვა); სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა), უფლებამოსილი მოსამსახურე ელოდება სააგენტოს სოციალური მუშაკის გამოცხადებას და ეხმარება ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

3. თუ უფლებამოსილი მოსამსახურის გამოძახება მოხდა არასამუშაო საათებში (18 საათიდან დილის 9 საათამდე), დასვენების ან უქმე დღეებში, ფაქტის ადგილზე შესწავლის/შეფასების შედეგად, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი მოსამსახურე გამოწერს შემაკავებელ ორდერს და უზრუნველყოფს ბავშვის მოძალადისგან განცალკევებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში უსაფრთხო გარემოში გადაყვანას სააგენტოსთან კონსულტაციის საფუძველზე.

4. თუ უფლებამოსილი მოსამსახურის შემთხვევის/გამოძახების ადგილზე გამოძახება მოხდა სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ, უფლებამოსილი მოსამსახურე ცხადდება შემთხვევის/გამოძახების ადგილზე და ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

## **მუხლი 5. უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ გასატარებელი ღონისძიებები ბავშვზე ოჯახში ძალადობის შემთხვევაში**

1. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის ადგილზე შეფასების შედეგად, თუ დადასტურდა ბავშვზე ძალადობის ფაქტი, უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ გამოწერილი შემაკავებელი ორდერის ან სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ხდება ბავშვის მოძალადისგან განცალკევება.

2. ადგილზე გამოცხადებისას უფლებამოსილი მოსამსახურე ახორციელებს წინამდებარე ინსტრუქციის მე-3 მუხლით განსაზღვრულ შესაბამის ღონისძიებებს/ქმედებებს, შემთხვევის/გამოძახების ადგილზე არსებული მდგომარეობის, შემთხვევის შეფასების შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკებიდან გამომდინარე.

3. ბავშვის მოძალადისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფლებამოსილი მოსამსახურე ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით ბავშვისა და სხვა პირების გამოკითხვას, საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას და კონსულტაციას გადის ბრიგადის ექიმთან, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში.

4. თუ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ადგილზე დარჩენით საფრთხე ექმნება მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, უფლებამოსილი მოსამსახურე, მსხვერპლად იდენტიფიცირებული ბავშვის მოძალადისგან დაცვის დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით გამოწერს შემაკავებელ ან/და იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვის ორდერს.

5. მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან ბავშვთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები სხვა პირისგან ბავშვის განცალკევება წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) გამოყენებულ იქნა ყველა სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომა (მათ შორის: გასაუბრება და გაფრთხილება) და ამ ნაკლებად მკაცრმა ზომებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო ან;

ბ) შექმნილ ვითარებაში აშკარაა, რომ მომდევნო 24 საათის განმავლობაში ნაკლებად მკაცრი ზომების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, რაც გამოიწვევს ბავშვის გარდაუვალ დაღუპვას ან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას.

6. ბავშვის მოძალადისგან განცალკევებისას, თუ აუცილებელია ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, უფლებამოსილი მოსამსახურე სააგენტოსთან კონსულტაციით იღებს ბავშვის განცალკევების ადგილის შესახებ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ბავშვი განთავსდეს ბავშვის ოჯახის წევრთან, რომელიც სხვა მისამართზე ცხოვრობს;  
ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვი განთავსდეს ნათესავთან, მეზობელთან ან სხვა მესამე პირთან;

გ) ბავშვი განთავსდეს ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში;

დ) გადაუდებელ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ბავშვი განთავსდეს სამედიცინო დაწესებულებაში.

7. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შესაძლებელია განთავსდეს თავშესაფარში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ოჯახში ძალადობას ან/და არასრულწლოვანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და ბავშვი ცნობილია ოჯახში ძალადობის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ან/და დაზარალებულად და ვერ ხერხდება მისი განთავსება სხვა მისამართზე მცხოვრებ ოჯახის წევრთან, სხვა პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.) ან ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაყვანა.

8. უფლებამოსილი მოსამსახურე განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) ადგილის შერჩევასას ხელმძღვანელობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული დაწესებულებათა ჩამონათვალით.

9. უფლებამოსილმა მოსამსახურემ განთავსების ადგილის შერჩევასას უნდა გაითვალისწინოს ბავშვის აზრი მისი ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით და გადაწყვეტილება მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

10. თუ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი უარს აცხადებს შეთავაზებული უსაფრთხო განთავსების ადგილით სარგებლობაზე და სურს დარჩეს საცხოვრებელ ადგილზე, უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს, შემაკავებელი ორდერით განსაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის საცხოვრებელი ადგილიდან მოძალადის დროებით გარიდების საკითხი, მიუხედავად იმისა, მსხვერპლი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი არის თუ არა მოძალადის საკუთრება.

11. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მოძალადისგან განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ, სააგენტოს სოციალური მუშაკის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი მოსამსახურე აღასრულებს ბავშვის განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) გადაწყვეტილებას.

12. უფლებამოსილი მოსამსახურე შემაკავებელ ორდერს ან/და იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვის ორდერს გამოწერს როგორც საკუთარი გადაწყვეტილების, ასევე ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტოს სოციალური მუშაკის მოთხოვნის საფუძველზე.

13. შემაკავებელი ორდერის და იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვის ორდერის გამოცემაზე (გამოწერაზე) უფლებამოსილი მოსამსახურე განისაზღვრება შინაგან საქმეთა მინისტრის „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ 2014 წლის 2 ივლისის №491 და „იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის

ორდერის ფორმის დამტკიცებისა და მისი შედგენისთვის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ 2016 წლის 11 აგვისტოს №442 ბრძანებებით.

14. უფლებამოსილი მოსამსახურე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს გასაუბრების ოქმს ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ, რომელსაც წარუდგენს უშუალო ხელმძღვანელს.

## **მუხლი 6. უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ გასატარებელი ღონისძიებები ბავშვზე ოჯახის გარეთ ძალადობის შემთხვევაში**

1. თუ ბავშვზე ძალადობა მოხდა ოჯახის გარეთ - ოჯახის არაწევრის მიერ, უფლებამოსილი მოსამსახურე ფაქტის შეფასების მიზნით შეისწავლის და შეაფასებს მდგომარეობას, გაესაუბრება სავარაუდო არასრულწლოვან მსხვერპლს, სავარაუდო მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს და სხვ.), მოიპოვებს მტკიცებულებებს და ძალადობის ნიშნების ან რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში აღკვეთს ბავშვზე ძალადობის ფაქტს და დადგენილი წესით დაუყოვნებლივ მიაწვდის ინფორმაციას სააგენტოს.

2. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ბავშვზე ძალადობის ფაქტი, მოძალადისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფლებამოსილი მოსამსახურე ახდენს ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით ბავშვისა და სხვა პირების გამოკითხვას, საჭიროების შემთხვევაში ბავშვის მდგომარეობიდან გამომდინარე, იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას (გადაუდებელ შემთხვევაში თვითონ გადაჰყავს სამედიცინო დაწესებულებაში) და კონსულტაციას გადის ბრიგადის ექიმთან, რის საფუძველზეც უფლებამოსილი მოსამსახურე იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევების (უსაფრთხო გარემოში გადაყვანის) შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგილზე გამოცხადდა სააგენტოს სოციალური მუშაკი, მდგომარეობის შეფასებას ახდენს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს სოციალური მუშაკი, ხოლო უფლებამოსილი მოსამსახურე ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

4. თუ უფლებამოსილი მოსამსახურის შემთხვევის/გამომახების ადგილზე გამოძახება მოხდა სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ, უფლებამოსილი მოსამსახურე ცხადდება შემთხვევის/გამომახების ადგილზე, ელოდება სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებას და ეხმარება მას ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემდგომ ბავშვი უნდა დაბრუნდეს სახლში უფლებამოსილი მოსამსახურის თანხლებით მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად ან მათ გარეშე.

6. უფლებამოსილი მოსამსახურე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს გასაუბრების ოქმს ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ, რომელსაც წარუდგენს უშუალო ხელმძღვანელს.

### **მუხლი 7. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა**

1. ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს და ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო.
2. ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის მიზნით სააგენტოს სოციალური მუშაკი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომელშიც აისახება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენისას შესაძლებელია უფლებამოსილი მოსამსახურის მონაწილეობა, რომელიც ინდივიდუალური საქმიდან გამომდინარე განსაზღვრავს სააგენტოს სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობის ფორმას.
3. რეფერირების პროცედურებში მონაწილე სუბიექტები სამინისტროს აწვდიან ინფორმაციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი და შესაბამისი დაწესებულება გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.
4. უფლებამოსილი მოსამსახურე (უბნის ინსპექტორი/მართლწესრიგის ოფიცერი) ახორციელებს დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნების და პირობების შესრულების მეთვალყურეობას, ასევე ძალადობის შესახებ პოლიციაში შესული ინფორმაციის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თვალყურს ადევნებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვს და მდგომარეობას მის ოჯახში, თუ ძალადობა ოჯახში განხორციელდა.

### **მუხლი 8. უფლებამოსილ მოსამსახურეთა კომპეტენცია და რეაგირების ღონისძიებები ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვის შემთხვევაში**

1. ნაპოვნი ბავშვის შემთხვევაში უფლებამოსილი მოსამსახურეები ხელმძღვანელობენ „შილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, რომლის თანახმად, ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენისას, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, სამინისტროს ტერიტორიული ორგანო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებული არიან, ბავშვის აღმოჩენიდან 6 კვირის ვადაში განახორციელონ ღონისძიებები ამ ბავშვის ან/და მისი მშობლის (მშობლების) ვინაობის დასადგენად.
2. უფლებამოსილი მოსამსახურე უმეთვალყურეოდ დატოვებული ბავშვის აღმოჩენის შესახებ აცნობებს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, ასევე სააგენტოს.
3. სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები ბავშვის დაკარგვის შესახებ განცხადების მოძიების მიზნით ელექტრონული მიმოწერის საშუალებით აგზავნიან ნაპოვნი ბავშვის შესახებ ცნობებს დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში.



4. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ბავშვის ზუსტი ასაკის დადგენა (ბავშვი მცირეწლოვანია ან მის მიერ დასახელებული ასაკი საეჭვოა), ტერიტორიული ორგანოები მიმართავენ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებს ბავშვის სავარაუდო ასაკის დადგენის მიზნით.

5. ნაპოვნი ბავშვის შესაბამის გარემოში განთავსების მიზნით უფლებამოსილი მოსამსახურე უკავშირდება სააგენტოს „ცხელი ხაზის“ ან სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს დახმარებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ ბავშვის საიდენტიფიკაციო მონაცემების დადგენის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად ვერ მოხერხდა მისი ვინაობის დადგენა და მისი აღმოჩენიდან გავიდა 6 კვირა, შესაბამისი ტერიტორიული ორგანო არსებული მდგომარეობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს, რომელიც ნაპოვნ ბავშვთან დაკავშირებით უზრუნველყოფს შემდგომი პროცედურების განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 9. სამინისტროსა და რეფერირების პროცედურებში მონაწილე სუბიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლა**

1. რეფერირების პროცედურების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის უფლებამოსილი დანაყოფები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სააგენტოსა და რეფერირების პროცედურებში ჩართულ სხვა სუბიექტებთან ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლას. ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით.

2. რეფერირების პროცედურებში ჩართული უფლებამოსილი მოსამსახურეები უზრუნველყოფენ რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას სააგენტოსა და რეფერირების პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტების უფლებამოსილ თანამშრომელთა შორის და ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.